სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები
Research Methods in Social Sciences

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების მაგისტრი
MSc in Social Research Methods

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:

ნინო ჯავახიშვილი, თსუ პროფესორი, ფსიქოლოგი.

4. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

<u>მიზანი:</u> სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სოციალურ მეცნიერებებში ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების კონკრეტული და სიღრმისეული გაფართოება კვლევის მეთოდების მიმართულებით.

სოციალურ მეცნიერებათა კვლევის სამაგისტრო პროგრამები პოპულარულია ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტებში და პროგრამის შექმნისას ეს გამოცდილება მაქსიმალურადაა გათვალისწინებული.

სამაგისტრო პროგრამის შედგენისას დავეყრდენით ევროპის და აშშ უნივერსიტეტების ანალოგებს. პროგრამა შედგება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსებისაგან. კურსები გაერთიანებულია მოდულებში, სტუდენტი სწავლობს ოთხივე მოდულს, ხოლო მოდულის შიგნით მას შეუძლია აირჩიოს საგნები. სულ 4 ასეთი მოდულია:

1. კვლევის საფუძვლები, სადაც სტუდენტი ეცნობა ზოგადად მეცნიერული კვლევის და სოციალური მეცნიერებების კვლევის პრინციპებს და სქემებს;
2. სტატისტიკის მოდული, სადაც სტუდენტი სწავლობს რაოდნეობრივი მონაცემების დამუშავების ხერხებს;
3. ნაშრომის გაფორმების მოდული, სადაც სტუდენტი სწავლობს, როგორ უნდა წარმოადგინოს კვლევის შედეგები და
4. ცალკეული მეთოდები, სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს რამდენიმე მეთოდი სურვილისამებრ.

<u>შედეგი:</u> პროგრამის დასრულების შემდეგ **სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების** მაგისტრი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

- ღრმა ცოდნა თანამედროვე სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდებში;
- სრულფასოვანი კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები, (უნდა შეეძლოს თანამედროვე კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის);
- პრობლემის დანახვის, ამოცნობის და მისი გადაჭრის მნეცნიერული (კვლევის მეშვეობით) გზების დასახვის უნარი;
- კრიტიკული აზროვნების, საკითხის/პრობლემის მრავალმხრივ დანახვის უნარი და მისი გადაჭრის გზების მრავალფეროვნების აღიარების უნარი;
- მეცნიერული კვლევის პროცესის და კანონზომიერებების ღრმა ცოდნა.

<u>დასაქმების სფეროები:</u> სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელება დოქტურანტურაში, კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ისე, კერძო და არასამთავრობო სექტორებში.

5. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხის (ან ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომის) ფლობა ნებისმიერ სოციალურ მეცნიერებაში.
- გამოცდა და გასაუბრება სპეციალობაში, მათ შორის სოციალური მეცნიერებების სფეროს ინგლისურენოვანი ტექსტის თარგმანი. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება მსურველებს შეუძლიათ თსუ VI კორპუსში, 105 ოთახში.